საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 5-6 დეკემბერი, 2023 წელი

დრო: 19:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
4. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი
6. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
7. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
9. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
10. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
11. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი თემა:

1. პლატფორმის წესდების ცვლილებების განხილვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო ჩხობაძემ.
2023 წლის, 19 დეკემბერს დაგეგმილია საქართველოს ეროვნული პლატფორმის საერთო კრება. წევრთა საერთო კრებაზე მოვისმენთ ეროვნული პლატფორმის საქმიანობის ანგარიშს, აირჩევთ პლატფორმის თავმჯდომარეს, სამუშაო ჯგუფების კოორდინატორებს, და ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის წევრებს. ასევე კენჭს ვუყრით წესდებაში შესატან ცვლილებებს. საერთო კრების შესახებ ინფორმაცია გაზიარებული პლატფორმის წევრებთან.
კოალიციის მოქმედი წესდების შესაბამისად, ეროვნული პლატფორმის საერთო კრების დღის წესრიგში წესდების ცვლილების საკითხის შეტანას წყვეტს საკოორდინაციო საბჭო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილებებისა და დამატებების პროექტი წარმოდგენილია წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით. ასევე საკოორდინაციო საბჭო ეროვნული პლატფორმის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს საერთო კრებისთვის წარსადგენად აქვეყნებს 2 კვირით ადრე მაინც.

საკოორდიანციო საბჭოს ორმა წევრმა, პირველი ჯგუფის კოორდინატორმა, ნონა ქურდოვანიძემ და მესამე ჯგუფის კოორდინატორმა, ნუგზარ კოხრეიძემ, მმართველ კომიტეტს წარუდგინეს წესდებაში შესატანი ცვლილებების თავიანთი პროექტი.

საბჭოს შეხვედრაზე განიხილეს ორივე დოკუმენტი დამოუკიდებელად. ცვლილებების ავტორებმა განმარტეს, თუ რას გულისხმობდა კონკრეტული ინიციატივა. მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ შეიმუშავა შედარებითი დოკუმენტი, რომელიც ასახავდა ყველა ცვლილებას. დოკუმენტზე მუშაობისა და განხილვების პროცესში, დაემატა სხვა წევრთა მოსაზრებებიც. ორი კოორდინატორის მიერ შემოთავაზებული პუნქტობრივი ცვლილებების უმეტეს ნაწილზე მოხდა საბჭოს წევრთა მოსაზრებების შეჯერება და ეს წინადადებები საერთო კრებას წარედგინება საბჭოს სახელით, ხოლო იმ მუხლებს, რომელზეც საბჭო ვერ შეთანხმდა, გაზიარდება პლატფორმის წევრებთან, როგორც ინდივიდუალური ინიციატივა და საერთო კრებაზე კენჭი ეყრება ინდივიდუალური ინიციატივის საფუძველზე.

ეროვნული პლატფორმის სამდივნო მოამზადებს ერთიან დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება ყველა შემოთავაზებული ცვლილება და გაზიარდება პლატფორმის წევრებთან. საერთო კრებაზე განიხილება დოკუმენტი და მუხლობრივად მოხდება ყველა შემოთავაზებულ ცვლილების კენჭისყრა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე